

“წერტილოვანი თავდასხმები”

გაზეთი “P.S.” – 11-17 მაისი, № 16, 2009

გასულ კვირას პოლიტიკურმა ტემპერატურამ საქართველოში მაქსიმუმს მიაღწია. რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციებმა და პირველი არხის მიმართ პროტესტის გამოხატვის უკიდურესმა ზომამ ამავე არხის უურნალისტების შეურაცხყოფის და თვავდასხმების ფაქტები გაახშირა. ნიკა ავალიანზე თავდასხმას სამი ახალგაზრდის დაპატიმრება მოჰყვა, რის შედეგადაც მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ქვეყნის დედაქალაქში არსებულ ვითარებაზე ექსპერტი ლადო პაპავა საუბრობს

– ბატონო ლადო, ცოტა შორიდან დავიწყოთ, ბაქრაძესთან ექსპერტების შეხვედრის შემდგომ შეიძლებოდა თუ არა რომ დიალოგი კვლავ შემდგარიყო და ექნებოდა თუ არა აზრი დიალოგზე საუბარს?

– დავიწყებ იმით, რომ 9 აპრილის შემდეგ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შევხვედროდით ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელს და ჩვენი შეხედულებები გაგვეზიარებინა. ასეთ პირად ჩავთვალეთ ბატონი დავით ბაქრაძე, რადგან ვთვლიდით, რომ მასთან საუბარს აზრი ექნებოდა. ის სახელმწიფოში მეორე პირია და პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში მას მოუხდება შეასრულოს ქვეყნის პირველი პირის მოვალეობა დროებით. აქედან გამომდინერე, ჩვენი გადაწყვეტილება მასთან შეხვედრის იყო აბსოლუტურად ლოგიკური და ის წამოვიდა ამ შეხვედრაზე. ჩვენ ვიცოდით ბატონი ბაქრაძე ვერანაირ გადაწყვეტილებას რომ ვერ მიიღებდა, იმიტომ რომ ბაქრაძის კომპეტენცია არ არის პრეზიდენტის გადადგომა და თავად ბაქრაძის გადადგომას კი არავინ არ ითხოვს. ბაქრაძე ჩვენ მივიჩნიეთ ისეთ პირად ვინც მიიტანდა სწორად ჩვენს ნათქვამს პრეზიდენტამდე და გაიგებდა თუ რა საფრთხეებს ვხედავთ ექსპერტები. მას ვესაუბრეთ ორი ძირითადი მიმართულებით: ერთი ჩვენი თანამოქალაქეების უსაფრთხოების შესახებ, რომ არც ერთის სისხლი არ დაიღვრილიყო და დირსება არ შელახულიყო. და მეორე ეს ის საფრთხეები იყო, რომელიც ქვეყანას ემუქრება.

– დავაკონკრეტოთ, საფრთხე ქვეყნის შიგნით თუ საგარეო პოლიტიკაში?

– ყველანაირი. თუნდაც ის დამოკიდებულება და უნდობლობა, რომელიც არის ხელისუფლებასა და ხალხს შორის. გვაინტერესებდა ბაქრაძის პოზიცია იმავე დიალოგთან მიმართებაში. ასევე გვაინტერესებდა ხომ არ განიხილავს ხელისუფლება თუ არა პრეზიდენტის გადადგომას, დაუშვათ სხვა დათმობებს, მაგალითად როგორიცაა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ან პრეზიდენტის ნდობის დადასტურება რისი გზაც არის რეფერენდუმი. რაზედაც ქვეყნის მეორე პირისგან ერთმნიშვნელოვანი პასუხი – უარი მივიღეთ. მისი თქმით საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს ის რომ კონსტიტუციურ ვადებში იცვლებოდეს ხელისუფლება და არა ქუჩის მოთხოვნებით. ბაქრაძის თქმით 2012 წლამდე საპარლამენტო არჩევნები არ გაიმართება და 2013 წლამდე საპრეზიდენტო. სამწუხაროდ ფაქტია, რომ ხელისუფლების მხრიდან მზადყოფნა დიალოგზე არც მაშინ იყო და არც ეხლაა. თუმცა დღეს ვითარება შეიცვალა, მაგრამ კონსტრუქციულს არაფერს არ სთავაზობს ხელისუფლება ოპოზიციას. ხელისუფლებამ ძალიან საინტერესო ტაქტიკა შეარჩია, რაც გამოიხატება იმაში, რომ უშუალოდ ფართომასშტაბიან აგრესიულ თავდასხმას მომიტინგებზე არ ახორციელებს, როგორც ეს გააკეთა 7 ნოემბერს, მაგრამ ცდილობს განახორციელოს წერტილოვანი თავდასხმა, რომლის დაფიქსირება და აღკვეთა ძალიან ძნელია. წერტილოვანი დაშინებით ხელისუფლება დღეს ცდილობს საპროტესტო მუხტის შესუსტებას. ბუნებრივია ხალხი მუდმივ რეჟიმში დიდი რაოდენობით ქუჩაში ვერ იქნება და ამიტომ ქუჩები გადაეკეტილის საკნებით, უმეტეს შემთხვევაში კი ამ საკნებში ხალხი არ ზის. ხელისუფლება ამით ცდილობს მოიპოვოს დასავლეთის მხარდაჭერა – ნახეთ მე რა დემოკრატიული ვარ, მე ხელს არავის არ ვუშლი, მაგრამ ეს ადამიანები ქუჩებს არ კეტავენ, ამათ უბრალოდ საკნების ბარიკადები ააგეს. ამიტომ დასავლეთიდან ოპოზიციის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა და ფიქრობენ რომ საქართველოს ხელისუფლება სწორად იქცევა. ისინი ამბობენ, რომ ხალხს აქვს უფლება ქუჩები გადაკეტოს მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბარიკადების აღმართვით. ამით სააკაშვილი ამზადებს ასეთ სცენარს, როცა ჩათვლის რომ მომწიფებულია დრო ოპოზიციურ ძალებთან ანგარიშსწორებისა ის ძალას გამოიყენებს და დასავლეთი ამას წესრიგის აღდგენაში ჩაუთვლის, რადგანაც დასავლეთში ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი რომ ხალხი ვერ გამოიყვანა

ოპოზიციამ და ქუჩები ბარიკადებით გადაკეტა. ეს ნიშნავს, რომ 7 ნოემბერს ხელიუსუფლება დარბევას აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა და მიიღო სერიოზული კრიტიკა დასავლეთისაგან, ეხლა კი ის დასავლეთს ამზადებს რომ არ იყოს დიდი კრიტიკა რაც მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, ანუ აქ გათვლა კვლავ პიარზეა. ამის პარალელურად, ხელისუფლებას არ ანალიზებს რას იფიქრებს მისი ხალხი – ეს კი ჩვენი დიდი ტრაგედია.

–ფაქტია, რომ რეზინის ტყვიები ოპოზიციის ლიდერებს მოხვდა და ნაკლებ დაზიანდა მოსახლეობა. რას იტყოდით?

– უწინარეს ყოვლისა იმედი მაქვს, რომ სათანადო რეაგირებას გააკეთებს ამ ფაქტებზე სახალხო დამცველი. ამაში კი ოპოზიცია მაქსიმალურად წარუდგენს მას ნივთმტკიცებაბს ყველა იმ იარაღთან დაკავშირებით რაც იყო გამოყენებული, ფაქტია რომ ქვებიც გამოიყენეს. ეს უნდა წარედგინოს დიპლომატებსაც და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, რომ უჩვენოს მათ როგორ ებრძოდნენ მომიტინგებს და რატომ იყო მიზანში ამოღებული ოპოზიციის ლიდერები.

– გია გაჩეჩილაძის ფაქტთან დაკავშირებით გაჩნდა აზრი რომ შეეძლოთ კი არ გაელახათ არამედ დაჭიდათ..

– ასეთ ვითარებაში ძნელია საღმა აზრმა გაიმარჯვოს. მე დრმად ვარ დარწმუნებული რომ იმ პოლიციელებში ბევრი ძალიან კარგი ადამიანია და შეიძლება თვითონაც ნანობს დღეს რომ საკუთარ ხალხს დაუპირისპირდა. მეორეს მხრივ შეიძლება იყოს ადამიანები, რომლებიც შეგნებით ემსახურებიან სახელმწიფო მანქანას. გიორგი გაცეჩილაძის დაპატიმრება ხელისუფლებისთვის იქნებოდა სუპერ წამგებიანი. ეს არის პრაქტიკულად სამარის გამოთხრა ხელისუფლებისთვის, მაგრამ მათ არ დააპატიმრეს და გამოუშვეს, როგორც იტყვიან დასაჯეს არაფორმალურად.

– ამას უძლოდა წინ 5 მაისი – მუხროვანის საქმე. გაჩნდა აზრი რომ დაჭერები გაგრძელდებოდა და სავარაუდოდ ოპოზიციის ლიდერები იქნებოდნენ შემდეგი მსხვერპლი. აქცენტი ბურჯანაძეზე და მის მეუღლეზე გაკეთდა, რას იტყოდით ამ ფაქტზე?

– გამიჭირდება კომენტარის გაკეთება. მუხროვანის მოვლენა სპეციალურად სამხედრო ექსპერტების შესასწავლია. არ იქნება ცუდი თუ ხელისუფლება ამ საქმის გამოძიების პროცესში ჩართავს საქართველოში წარმოდგენილი საელჩოების წარმომადგენლებს.

– იმ დღესვე დააპატიმრეს ექსპერტი ვახტანგ მაისაია. თქვენ მას კარგად იცნობდით?

– დიახ, მე მას დიდი ხანია ვიცნობ, ის პოლიტოლოგია და მასთან სამეცნიერო ურთიერთობა მქონდა. მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან გამომდინარე ჩემთვის წარმოუდგენელია ის, რომ მაისაია ქვეყნის საწინააღმდეგო და საზიანო საქმეს აკეთებდა. და თუ მიუკერძოებელი გამოძიება და დამოუკიდებელი სასამართლო დაამტკიცებენ, რომ ის ამას აკეთებდა, მაშინ ის შესაბამის სასჯელს იმსახურებს.

– ბოლო ეტაპზე აქტიურად ჩაერთო პატრიარქი, მისი განცხადების შემდეგ დაკავებული სამი ახალგაზრდა გამოუშვეს, როგორ ფიქრობთ ხელისუფლება მოეგო გონს?

– ჩვენი მოსახლეობის დიდი პრობლემა ის არის რომ პატრიარქს არ უჯერებენ – გავიხსენოთ 1989 წლის 9 აპრილი. თუ ჩვენთვის პატრიარქი არის სიმბოლო ქვეყნის ერთიანობის, მაშინ მის რჩევებს უნდა ვითვალისწინებდეთ. რასაც მონარქიულ სახელმწიფოებში ასრულებენ მონარქები დღეს საქართველოში ამ ფუნქციას ასრულებს პატრიარქი. ამ ახალგაზრდების გამოშვება არის პირველი ფაქტი, როდესაც ხელისუფლებამ პატრიარქის მოწოდება შეისმინა. ხელისუფლებას ეს რომ არ გაეკეთებინა ხალხის პროტესტი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. მინდა ავღნიშნო მამაოების როლი ხალხის და პოლიციის დაპირისპირებაში, რომლებიც შუაში ჩადგნენ და პრაქტიკულად დიდი სისხლის დვრა აგვაცილეს. ასე, რომ ეკლესიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის არის ის ისტიტუნტი რომელმაც საქართველო უნდა გადარჩინოს.

–რას იტყოდით ოპოზიციის ქმედებებზე, რამდენად მისაღებია მათი პროტესტი ამ ფორმით?

– პირველ რიგში არ მოგუწონებ გადაწყვეტილებას, რომ გადაკეტონ მაგისტრალური გზები, რადგან ეს არ იქნება სააკაშვილის წინააღმდეგ გაკეთებული, ეს იქნება საქართველოს საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი. ამას ვამბობ როგორც ეკონომისტი. საქართველოს მომხიბლელობა საერთაშორისო დონეზე მისი სატრანზიტო ფუნქციაა. მაგისრალური გზების გადაკეტვა ნიშნავს ამ ფუნქციის შეჩერებას, რაც პრობლემებს შეუქმნის თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილს; რაც გამოიწვევს ტგირთის გადასამისამართებას. დადგება დრო როცა სააკაშვილი არ იქნება პრეზიდენტი, მაგრამ სატრანზიტო ფუნქცია

შეიძლება უკვე დაკარგული გვქონდეს. ამიტომ ოპოზიციის გადაწყვეტილება, რომ ნებისმიერ ფასად მოხდეს სააკაშვილის ჩამოცილება, მიუხედავად ჩემი საპროტესტო განწყობისა ხელისუფლების მიმართ, ამ შეხედულებას არ ვიზიარებ, რადგან ქვეყნისთვის ეს დამდუაველი შეიძლება აღმოჩნდეს.

- და ბოლოს, რა უნდა გააკეთოს დღეს ხელისუფლებამ?
- მე მოკლედ გეტყვი, მთავარია არ ამოვარდეთ კონსტიტუციური ჩარჩოდან. პატრიარქმა გარდა იმისა რომ გამოეშვათ სამი ახალგაზრადა მოუწოდა ხელისუფლებას და ოპოზიციას რომ არ გამოვიდნენ კონსტიტუციური ჩარჩოდან. კონსტიტუციის მეხუთე მუხლში წერია, რომ საქართველოში ხელისუფლების წყაროა ხალხი, ხოლო ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის გზით. თუ ხალხი არის ძალაუფლებისწყარო და ამას ახორციელებს ძალაუფლებით ეხლა სწორედ ეს მუხლი უნდა ამოქმედდეს. რატომ? – იმიტომ, რომ სააკაშვილს ხალხმა მიანიჭა პრეზიდენტია, თუმცა არის მოსაზრება რომ არჩევნები გაყალბდა. მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილი ფორმალურად ქვეყნის პრეზიდენტია. ფაქტია ისიც რომ უნდობლობა მის მიმართ დიდია, ამიტომ ხალხს უნდა მიეცეს უფლება თავისი ძალა განახორციელოს და გამოიყენოს. ეს კი შესაძლებელია რეფერენდუმის გზით.

მარიკა ვაჭარაძე